შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ვითი XXI“-ს შორის 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებულ №259 ხელშეკრულებაში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№ 16/259
19 06 14

ქ. ზუგდიდი *19 ივნისი, 2014 წელი.*

ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით და მეორეს მხრივ, ***შპს „ვითი XXI“*** (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ვახტანგ შონიას სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადის დაზუსტებასთან დაკავშირებით შევიდეს ცვლილება 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №259 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1 პუნქტში მითითებული საგარანტიო ვადა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- *პუნქტი 12.1* – შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები, „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 4 (ოთხი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი“
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:	*შპს „ვითი XXI“-ს დირექტორი:*
..... /*ლ. კონჯარია*/	..... /*ვ. შონია*/